სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 18

2019 წ. "17" 06

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 7 ივნისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის N719117) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის N53 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება სატყეო საქმის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის ორი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის წლის 7 ივნისს N719117 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი